



N 605
27/08/2020

605-7-2-202008271710



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 21 აგვისტოს № 01/10039 წერილით შემოსული „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობების განსაზღვრას, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. დანართის შინაარსიდან გამომდინარე დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვის „განსაზღვრული“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვები „წესისა და“, ვინაიდან, მოცემული ცვლილების პროექტით დარეგულირებულია არა მხოლოდ დაზღვევის პირობები, არამედ წესიც. ანალოგიურად უნდა დაკორექტირდეს დანართის ტექსტის შესაბამისი ნაწილები;
2. დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ამ წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტებზე, რომლებიც იმყოფებიან ან შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე“, მაგრამ არ არის მითითებული ამ ცვლილების ამოქმედებიდან რა ვადაში უნდა უზრუნველყონ ამოქმედების მომენტისთვის საქართველოში მყოფმა პირებმა/სტუდენტებმა ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან დაზღვევა.
3. სასურველია მე-2 მუხლში მოცემული ტერმინების ჩამონათვალის თანმიმდევრობის შეცვლა, ზოგიერთი ტერმინის დეფინიციის მოდიფიცირება და/ან ამოღება. კერძოდ, ტექსტის აღქმადობის გამარტივებისა და ტერმინოლოგიური გამართულობის კუთხით, მიზანშეწონილია:

- „ნ“ ქვეპუნქტი (სტუდენტის განმარტება) აისახოს „ბ“ ქვეპუნქტის (მოქალაქეობის არმქონე პირის განმარტების) შემდეგ;

- ამოღებულ იქნას „გ“ ქვეპუნქტი, ვინაიდან არ არსებობს დაზღვევის ცნების შინაარსის შეზღუდვის აუცილებლობა;

- ტერმინი „დაზღვეული“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „დაზღვეული - სტუდენტი, რომლის მიმართაც ამ ნორმატიული აქტით დადგენილი წესის მიხედვით ხორციელდება ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;“

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან შესაბამისობის მიზნით ვ), ზ) და თ) ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) დაზღვევის პოლისი - ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი (დაზღვევის ხელშეკრულება, დოკუმენტი/ელექტრონული დოკუმენტი), რომელშიც აღნიშნულია შემდეგი მონაცემები: დაზღვევის მხარეები, დაფარული ტერიტორია, დაზღვევის საგანი და დაზღვეული პირის დასახელება, დაზღვევის დაწყებისა და დასრულების დრო, სადაზღვევო რისკი, შემთხვევები და სადაზღვევო თანხის ოდენობა(ლიმიტები), სადაზღვევო შესატანის მოცულობა, მისი გადახდის ადგილი და ვადა.“

„ზ) სადაზღვევო პრემია - მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო შესატანი;“

„თ) სადაზღვევო თანხა - პოლისით განსაზღვრული თანხა (მაქსიმალური ლიმიტი), რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს პასუხისმგებლობას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულზე ან მოსარგებლეზე.“

- კ) ქვეპუნქტში ფრაზა „ზარალის ნაწილი“ მიზანშეწონილია შეიცვალოს სიტყვით „თანხა“, ხოლო სიტყვა „ბარათით“ შეიცვალოს სიტყვით „პოლისით“;

- „მ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) უბედური შემთხვევა - გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალ(ებ)ის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედებით, რომელსაც შედეგად მოყვა დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა ან გარდაცვალება.“

4. მე-2 მუხლს დაემატოს მზღვეველის განმარტება და შემდგომ ყველგან ტექსტში სიტყვები „სადაზღვევო კომპანია“ შეიცვალოს სიტყვით „მზღვეველი“, ისევე როგორც სადაზღვევო კომპანიის სტრუქტურული ერთეული.

„მზღვეველი - იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის (არა სიცოცხლის) სახეობის ლიცენზია და სადაზღვევო საქმიანობას ახორციელებს, მათ შორის, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევის სახეობაში.

5. სასურველია ტექნიკური თვალსაზრისით დაკორექტირდეს და განივრცოს მე-3 მუხლი:

„1. სტუდენტი ვალდებულია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას იქონიოს ამ წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისი ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი, რომლის მოქმედების ვადა (ხანგრძლივობა) არ უნდა იყოს ერთ სემესტრზე ნაკლები.

2. სტუდენტი ვალდებულია საქართველოში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დაზღვეული ჰქონდეს ჯანმრთელობა და უბედური შემთხვევა ამ წესით განსაზღვრული პირობებით.

3. მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვეულს შესთავაზოს ამ წესით განსაზღვრულ მინიმალურ პირობებზე უფრო ხელსაყრელი პირობები.“

ამავე მუხლთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება მიღებულია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³ მუხლის საფუძველზე და ამდენად, თეორიულად მოქმედებს 2021 წლის 1 იანვრამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად არ იკვეთება დროის რა მონაკვეთშია სავალდებულო სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალდებულება სტუდენტს ეკისრება მხოლოდ იზოლაციის და კარანტინის წესების მოქმედების პერიოდში, მაშინ დასაკონკრეტებელია მოქმედების ვადა.

თუ ზოგადად, ბევრი ევროპული ქვეყნის პრაქტიკის ანალოგიურად დაგეგმილია ამ ტიპის სავალდებულო დაზღვევის შემოღება, მაშინ გასათვალისწინებელია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვით „სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ“.

6. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი უნდა ფარავდეს არანაკლებ ამ მუხლით დადგენილ სადაზღვევო შემთხვევებს შემდეგი სადაზღვევო ლიმიტების დაცვით:

ბ) მე-7 პუნქტში მართებულია დაზუსტდეს, რეპატრაციისას ცხედრის რა ადგილამდე ტრანსპორტირება ექვემდებარება ანაზღაურებას.

გ) მე-8 პუნქტში ბუნდოვანია ფრაზა „დიაგნოსტირებული COVID 19“ მოიცავს თუ არა პირველად ტესტირებასაც, აგრეთვე დასაზუსტებელია ფინანსური ანგარიშსწორების მექანიზმი;

დ) დაზღვევის მინიმალური პირობების დადგენისას მიზანშეუწონელია საგამონაკლისო შემთხვევებში მზღვეველისთვის შერჩევითი მიდგომის შესაძლებლობის მიცემა, აქედან გამომდინარე, მე-9 პუნქტის პირველი წინადადებაიდან ამოსაღებია სიტყვა „შესაძლებელია“.

ამავე, პუნქტში ბუნდოვანია და დასაკონკრეტებელია რა იგულისხმება

„მომსახურებები, რომელიც არ არის ტერმინთა განმარტებებში; ”

„- სხვა პროგრამით/დაზღვევით დაფინანსებული მომსახურების ღირებულება;“

თუ დაზღვევით დაფინანსებულ მომსახურების ღირებულებაში იგულისხმება, მაგალითად, მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში ხანძრის შედეგად ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაშინ რედაქცია უნდა შეიცვალოს და მიეთითოს, რომ არ ანაზღაურდება სხვა პროგრამით დაფინანსებული მომსახურების ღირებულება და/ან დაზღვევის სხვა სახეობის ფარგლებში სტუდენტის მიერ მისაღები სადაზღვევო თანხა. მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ამ წესით გასაცემ თანხასა და სხვა დაზღვევის ფარგლებში მისაღებ თანხას შორის არსებული სხვაობა.

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაკორექტირდეს მზღვეველთან შეთანხმების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული მიდგომა განსაკუთრებით გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღების შემთხვევაში.

ე) იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული წესებით რეპატრიაციის ხარჯები იფარება და ასევე დაფარულია Covid-19, ბუნდოვანია მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად რატომ არ იფარება რეპატრიაცია, რომელიც მოყვა Covid-19-ით ინფიცირების შედეგად გარდაცვალებას.

ვ) მე-10 პუნქტის:

- „ბ“ ქვეპუნქტში მართებულია დაზუსტდეს ტერმინი „მუდმივად“ და განისაზღვროს ინფორმაციის განახლების პერიოდულობა. ასევე, ფრაზა „სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფი“ მიზანშეწონილია შეიცვალოს ტერმინით „მზღვეველი“.

- „გ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი უმჯობესია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მზღვეველი კონტრაქტორ კლინიკასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამისი მომსახურებისთვის დაზღვევის პირობით გათვალისწინებული თანხის გადახდისგან და ამ თანხის მოთხოვნის უფლება კონტრაქტორ კლინიკას აქვს მხოლოდ მზღვეველის მიმართ;“

ამავე ქვეპუნქტში უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, ნაცვლად არსებული რედაქციისა მიეთითოს, რომ „უბედური შემთხვევის დადგომისას დამატებით საჭიროა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს უბედური შემთხვევის დადგომას.“

ზ) სამართლებრივი თვალსაზრისით გადასამუშავებელია რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც უფლება-მოვალეობების წარმოშობის, ასევე მოქმედების სქემის კუთხით.

თ) მე-11 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, სტუდენტის ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევის მინიმალური პირობების პროექტის საბოლოო რედაქციით ჩამოყალიბების შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყველა იმ მზღვეველს, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევას, მიეცეს შესაძლებლობა დააფიქსიროს სადაზღვევო კომპანიის პოზიცია 30 ლარიანი ზედა

ზღვრისა და მინიმალური პირობების დაცვით დაზღვევაში მონაწილეობისთვის მზაობის საკითხთან დაკავშირებით.

7. ზოგადად, გასამართია ადმინისტრირების წესთან დაკავშირებული მე-5 მუხლის შინაარსი, რათა მოცემული წესის აღსრულება მოხდეს სათანადოდ, კერძოდ:

- დოკუმენტის მიხედვით საპატრულო პოლიციის პასუხისმგებელ პირს გააჩნია 2 ფუნქცია
- განმარტებისა და შემოწმების, თუმცა ბუნდოვანია ამ პირის შემდგომი ქმედება, იმ შემთხვევაში თუ სასაზღვრო გამტარ პუნქტში შემოსული სტუდენტი არ ფლობს შესაბამის დაზღვევას. ამასთან დოკუმენტის მე-3 მუხლის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას იქონიოს დაზღვევა საქართველოში მისი ყოფნის სრული პერიოდის განმავლობაში. (აქვე, ხომ არ უნდა აისახოს მოცემული ვალდებულება საქართველოს საზღვრის კვეთის რეგულაციებში).

დასაზუსტებელია რას მოიაზრებს კონკრეტულად მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულება უზრუნველყოს სტუდენტი დაზღვევით ან უზრუნველყოს ასეთი დაზღვევის ფლობა და მოიაზრებს თუ არა მოცემული საბოლოოდ სასწავლო დაწესებულების მხრიდან დაზღვევის პოლისის შეძენის ვალდებულებას.

შესაბამის სტრუქტურებთან შესაჯერებელია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩანაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით და სამსჯელოა ამ წესის პირობების აღსრულების უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ასეთი სტუდენტებისათვის დაზღვევის შეძენის ვალდებულება, მით უფრო რომ ეს დაზღვევის პოლისის შეძენის შესაძლებლობა მას აქვს გამარტივებული შესყიდვის გზით ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტში მართებულია დაზუსტდეს რა ტიპის პასუხისმგებლობაზეა საუბარი და რომელი მუხლის დარღვევისთვის. პასუხისმგებლობის დაკისრების ფორმა და წესი შესათანხმებელია შესაბამის სამინისტროსთან.

პატივისცემით,

დავით ონოფრიშვილი

დ. ონოფრიშვილი

სამსახურის უფროსი

